ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3991861

ნომერი: AR1603534

თარიღი : 25.05.2018

გაცემის თარიღი : 01.06.2018

გაცნობის თარიღი : 01.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხ/დ (თემქა) მე-11 მ/რ; მე-2 კვარტალი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N11.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანდარაშვილი პ/ნ 01030004510
- თბილისი რეხის III ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, ხ/დ (თემქა), მე-11 მ/რ, მე-2 კვ. ანაპის 414-ე დივიზიის ქ. № 11-ში, ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული №2/4 შენობის ფასადზე ფანჯრის ღიობების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 892018205446 15.03.2018 წ., საკადასტრო მონაცემები №01.12.04.001.221; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, გენგეგმა, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, ხ/დ (თემქა), მე-11 მ/რ, მე-2 კვ. ანაპის 414-ე დივიზიის ქ. № 11-ში, ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული №2/4 შენობის ფასადზე ფანჯრის ღიობების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ, განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და, საჭიროებისამებრ, კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.